



# 24-ე განყოფილება სახელმწიფო გრანტები

# განსახილველი საკითხები

- მოქმედების სფერო
- აღიარება და შეფასება
- განმარტებითი შენიშვნები
- სრულ ფასს-თან შედარება

**სახელმწიფო გრანტი:** სახელმწიფოს მიერ გაწეული დახმარება რესურსების გადაცემის სახით, წარსულში შესრულებული ან მომავალში შესასრულებელი გარკვეული პირობების სანაცვლოდ. გამორიცხავს:

- დახმარებებს, რომელთა ღირებულების დასაბუთებული შეფასება შეუძლებელია; და
- სახელმწიფოს მონაწილეობით განხორციელებულ ისეთ ოპერაციებს, რომლებიც არ განსხვავდება საწარმოს ჩვეულებრივი კომერციული ოპერაციებისაგან.
- დახმარებას, რომელიც საწარმოს ეძლევა შეღავათების სახით დასაბეგრი მოგების, ან საგადასახადო ზარალის განსაზღვრისას, ან ისეთ შეღავათებს, რომლებიც განისაზღვრება, ან იზღუდება მოგების გადასახადის ვალდებულების სიდიდის საფუძველზე.

**მაგ 1** (4). 20X7 წლის 31 დეკემბერს, საწარმომ მიიღო 40,000 ფე ეროვნული მთავრობისგან 20X7 წლის განმავლობაში მისი კუთვნილი 40 ჰექტარი მიწის არდამუშავების სანაცვლოდ.

**არის თუ არა აღნიშნული გრანტი?**

*კი, გრანტია.*

**მაგ 2** (8). 2017 წელს საწარმომ სახელმწიფოსგან მიიღო ელექტროენერგია კილოვატზე დაბალი ტარიფის გადახდით მეზობელ სახელმწიფოში არსებულ ტარიფთან შედარებით. სახელმწიფო არის ელექტრო ენერჯის ერთადერთი მიმწოდებელი და იგი ამ რეგიონში სხვა საწარმოებსაც იგივე დაბალი ტარიფით აწვდის ელექტრო ენერჯიას.

**არის თუ არა აღნიშნული გრანტი?**

*არა, არ არის გრანტი.*

**მაგ 3** (12). 20X7 წელს საწარმომ განვითარებად ზონაში ააშენა ქარხანა. მთავრობის სტიმულირების სქემის შესაბამისად, რომელიც მხარს უჭერს განვითარებად ზონებში წარმოებაში ინვესტირებას, საწარმომ მიიღო გადასახადისგან დროებითი გათავისუფლების უფლება (ეს ნიშნავს, რომ საწარმო არ არის ვალდებული გადაიხადოს მოგების გადასახადი დასაბეგრ შემოსავალზე) 20X7 და 20X8 წლების 31 დეკემბერს დასრულებული საგადასახადო წლებისთვის.

## არის თუ არა აღნიშნული გრანტი?

არა, არ არის გრანტი. გადასახადისგან დროებითი გათავისუფლება არ განიხილება როგორც სახელმწიფო გრანტი. (აღირიცხება განყოფილება 29-ის მიხედვით).

# მაგალითი – მოქმედების სფერო

56

**მაგ 4** (14) პირობები მე-3 მაგალითის იდენტურია. თუმცა, აღნიშნულ მაგალითში, ცვეთის დაჩქარებული საგადასახადო შეღავათის მაგივრად, საწარმომ მიიღო ქარხნის მშენებლობისას წარმოქმნილი იმპორტისა და ტრანზაქციის გადასახადებზე 100%-იანი შეღავათი.

**არის თუ არა აღნიშნული გრანტი?**

კი. სახელმწიფო დახმარება (100%-იანი საგადასახადო შეღავათი იმპორტისა და ტრანზაქციის გადასახადებზე) აღირიცხება როგორც სახელმწიფო გრანტი. იმპორტისა და ტრანზაქციის გადასახადები არ ეფუძნება დასაბეგრ მოგებას - იგი არ არის მოგების გადასახადი 29-ე განყოფილების მიხედვით.

# აღიარება და შეფასება

მიღებული გრანტი აღიარდება შემოსავლის სახით:

- როდესაც ყველა შესასრულებელი პირობა შესრულება ან
- გრანტი არ მოითხოვს მომავალში პირობების შესრულებას.
  - ✓ ამონაგების აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილებამდე მიღებული გრანტი უნდა აღიარდეს როგორც ვალდებულება.
- **შეფასება:** მიღებული ან მისაღები აქტივის რეალური ღირებულებით.

# მაგალითი – აღიარება და შეფასება

**მაგ 5 (15).** 2016 წლის 1 იანვარს საწარმომ სახელმწიფოსგან მიიღო 500,000 ფე გრანტის სახით კონკრეტულ რეგიონში ქარხნის ასაშენებლად. მას ახლდა შემდეგი პირობები: ქარხანა უნდა აშენებულიყო ამ კონკრეტულ რეგიონში 2017 წლის 31 დეკემბრამდე, დაეკმაყოფილებინა გარემოსდაცვითი და სხვა კრიტერიუმები და დაეწყო ფუნქციონირება. თუ აღნიშნული პირობების დაკმაყოფილება არ მოხდებოდა საწარმოს მთლიანად უნდა დაებრუნებინა მიღებული გრანტი.

ყველა კრიტერიუმის დაკმაყოფილება მოხდა 2017 წლის 30 მარტს და საწარმომ აამოქმედა ქარხანა.

**როგორ უნდა აღრიცხოს აღნიშნული გრანტი?**

01.01.2016

დ)	ფულადი სახსრები	500,000	
კ)	გადავადებული საგრანტო შემოსავალი		500,000

31.03.2016

დ)	გადავადებული საგრანტო შემოსავალი	500,000	
კ)	საგრანტო შემოსავალი		500,000



# მაგალითი – აღიარება და შეფასება

59

**მაგ 6** (18). პირობები იგივე რაც მე-5 მაგალითში გარდა იმისა რომ საწარმოს მოეთხოვება 5 წლის განმავლობაში ამუშაოს ქარხანა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას მოუწევს მთლიანად 500 000 ფე-ის დაბრუნება სახელმწიფოსთვის.

როგორ უნდა აღრიცხოს აღნიშნული გრანტი?

01.01.2016

დ)	ფულადი სახსრები	500,000	
კ)	გადავადებული საგრანტო შემოსავალი		500,000

თუ საწარმო 2022 წლის 30 მარტამდე (5 წლის განმავლობაში) ამუშავებს ქარხანას მას წარმოექმნება შემოსავლის აღიარების უფლება.

31.03.2022

დ)	გადავადებული საგრანტო შემოსავალი	500,000	
კ)	საგრანტო შემოსავალი		500,000

# მაგალითი – აღიარება და შეფასება

60

**მაგ 7** (19). პირობები იგივე რაც მე-5 მაგალითში გარდა იმისა რომ საწარმოს მოეთხოვება 5 წლის განმავლობაში ამუშაოს ქარხანა, და ყოველ წელს იგი გამოიმუშავებს მთლიანი თანხის ერთ მეხუთედს ანუ 100 000 ფე-ს და პირობების დარღვევის შემთხვევაში სახელმწიფოს დაუბრუნებს მხოლოდ დარჩენილ ნაწილს.

როგორ უნდა აღრიცხოს აღნიშნული გრანტი?

01.01.2016

დ)	ფულადი სახსრები	500,000	
კ)	გადავადებული საგრანტო შემოსავალი		500,000

საწარმოს 2018 წლის 31 მარტს წარმოექმნება შემოსავლის აღიარების უფლება.

31.03.2022

დ)	გადავადებული საგრანტო შემოსავალი	100,000	
კ)	საგრანტო შემოსავალი		100,000

# მაგალითი – აღიარება და შეფასება

61

**მაგ 8** (25). საწარმომ ადგილობრივი მთავრობისგან მიიღო 3 წლიანი ურპოცენტო სესხი 500 ფე-ის ოდენობით. საბაზრო საპროცენტო განაკვეთი არის წლიური 5% . საწარმო ვალდებულია სესხის ვადის განმავლობაში საწარმოო პროცესში გამოიყენოს ადგილობრივი ნედლეული.

**როგორ უნდა აღრიცხოს აღნიშნული გრანტი?**

თავდაპირველი აღიარება:

დ) ფულადი სახსრები	500	
კ) სესხი *		431.92
კ) გადავადებული სახელმწიფო გრანტი		68.08
* $500/(1+5\%)^3 = 431.92$		

# ალიარება და შეფასება

მაგ 8 (25) (გაგრძელება)

შემდგომი შეფასება:

დ) გადაგადებული სახელმწიფო გრანტი	22.69
კ) საგრანტო შემოსავალი *	22.69

\*  $68.08/3 = 22.69$

დ) ფინანსური ხარჯი	21.60
კ) სესხი*	21.60

\*  $431.92 \times 5\% = 21.6$

# განმარტებითი შენიშვნები

საწარმომ უნდა გაამჟღავნოს:

- (ა) ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული სახელმწიფო გრანტების ხასიათი და მოცულობა;
- (ბ) სახელმწიფო გრანტთან დაკავშირებული ისეთი შეუსრულებელი პირობები და სხვა პირობითი მოვლენები, რომლებიც არ აღიარდა შემოსავალში; და
- (გ) სახელმწიფოსგან მიღებული სხვა ფორმის დახმარებები, საიდანაც საწარმომ პირდაპირ მიიღო სარგებელი.

- უფრო ადვილი ენით არის გადმოცემული, მოიცავს ნაკლებ მითითებებს აღრიცხვის პრინციპების გამოსაყენებლად;
- ბასს 20 მოითხოვს რომ გრანტების აღიარება არ მოხდეს მანამდე სანამ არ იარსებებს გონივრული რწმენა რომ კრიტერიუმები დაკმაყოფილდება და მოხდება გრანტის მიღება. მსს ფასს მოითხოვს გრანტების აღიარებას მხოლოდ მას შემდეგ რაც ფაქტობრივად მოხდება კრიტერიუმების დაკმაყოფილება;
- ბასს 20 მოითხოვს რომ გრანტის აღიარება შემოსავლად მოხდეს ხარჯების შესაბამისად. მსს ფასს ამის უფლებას არ იძლევა;
- ბასს 20-ის თანახმად არაფულადი გრანტები შეიძლება აღირიცხოს მიღებული აქტივის რეალური ღირებულებით ან ნომინალური ღირებულებით. მსს ფასს მოითხოვს ყველა გრანტის აღრიცხვას რეალური ღირებულებით.